მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2016 წლის 21 ივნისი

ქ. მარნეული

„მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ,,გ.ბ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის №10 დადგენილების (www.matsne.gov.ge 190020020.35.159.016234; 09/03/2016 წ.) დანართი №1-ის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ონკოლოგიურ ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარს დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში დახმარება გაეწევა არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნაბი აბდულაევი**